4 707 ~ 7668

ორგზის ლენინის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებო! მოგილოცავთ დიდი ოქტომბრის დღესასწაულს და საბჭოთა მილიციის დღეს!

მინისტრი გვილოცავს

წინასადღესასწაულო დღეებში საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროში მოსკოვიდან მოვიდა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი ამხ. **შჩოლოკოვი**. დეპეშაში ნათქვამია:

„მხურვალედ გილოცავთ სამინისტროს ყველა მუშაკს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავის დღესასწაულს. უფროს და რიგით შემადგენლობას, ორგანოს ყველა მუშაკს ვუსურვებ წარმატებას სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლაში, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და მიღწევებს მუშაობაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ".

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible] გუშაგი

კვირა
№ 41 (2331)
6 ნოემბერი 1966 წ.
ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანო

ОРГАН МИНИСТЕРСТВА ОХРАНЫ ОБЩЕСТВЕННОГО ПОРЯДКА ГРУЗИНСКОЙ ССР

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი 2 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეხვდა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საუბარში შეეხო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საუბარში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტურენკო, რ. ი. ფრუიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჟანჟღავაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი გ. ე. ცუკანოვი. (საქინფორმი).

თბილისი, 1966 წლის 1 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხანაგი **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი** საქართველოს სსრ დროშაზე ამაგრებს მეორე ლენინის ორდენს. მარჯვნივ — ამხანაგები **გ. ს. ძოწენიძე**, **ვ. პ. მჟავანაძე** და **გ. დ. ჯავახიშვილი**.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა საქართველოში დიდი, სასიხარულო დღესასწაულია — რესპუბლიკას გადაეცა მეორე ლენინის ორდენი.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს ჩვენ, მონაწილენი საზეიმო კრებისა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის მთავრობის საბატიო ჯილდოს, მეორე ლენინის ორდენის გადაცემას, ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მივესალმებით და გულითად მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში მათი წვლილის მაღალი შეფასებისათვის.

მოხარული ვართ მოვახსენოთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, რომ საქართველოს მშრომელები, ახორციელებენ რა სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ისწრაფვიან ღირსეულად აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 50 წლისთავი, შემოქმედებითი შრომით აღწევენ ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

საერთო პროდუქციის წარმოების ცხრა თვის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ 104 პროცენტით შეასრულა.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით იმუშავეს წელს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა. სამშობლო გაახარეს ჩვენმა მეჩაიეებმა და მევენახეებმა — მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს წლიური დავალება. დიდი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე მეციტრუსეებმა, მემინდვრეებმა, მექანიზატორებმა, მეცხოველეებმა, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებმა.

სოციალისტური საქართველოს, მისი ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავებისათვის ქართველი ხალხი უსაზღვრო მადლობას უძღვნის მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებენ ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას.

რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით საზეიმო კრების მონაწილენი პირობას აძლევენ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საბჭოთა მთავრობას, რომ საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია საბჭოთა ხალხების ერთსულოვან ძმურ ოჯახში კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

დიდება ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — უკვდავი ლენინის პარტიას!

მიღებულია საზეიმო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის მეორე ლენინის ორდენის გადაცემას.

საზეიმო სხდომა

5 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავს.

სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტურენკო, რ. ი. ფრუიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჟანჟღავაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ.

ზეიმი სპორტის სასახლეში

ვ. ი. ლენინის იდეების ჩაუქრობელი შუქით გაცისკროვნებულ სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, პარტიისა და მთავრობის ზრუნვით გარემოსილი ქართველი ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად იდგამს დიდი ოქტომბრის გზით, იბრძვის კომუნიზმის გამარჯვებისათვის. მისი ჩვენი წარმატებები უნდა ვუმადლოდეთ პარტიის ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობასა და ძმობას.

რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა და ეს უკვე მეორე უმაღლესი ჯილდოა, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა. მან შთააგონა საქართველოს მშრომელები ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად მიმდინარე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

...თბილისის სპორტის სასახლე, 1 ნოემბერი. აქ საქართველოს სსრ რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე შეიკრიბნენ რესპუბლიკის ყველა კუთხის წარმომადგენლები. წითელი ქსოვილითა და ყვავილებით მორთული დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. წითლად ელვარებს სახელოვანი ლოზუნგები: „დიდება ლენინურ პარტიას!". მას ეხმიანება ლოზუნგი, რომელიც დღეგრძელობას უსურვებს იმათ, ვინც ამრავლებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ქმნის მატერიალურ სიუხვეს, ავითარებს კულტურას: „დიდება შრომას!"

სცენაზე მოჩანს მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი მუშურგლეხური სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სკულპტურული პორტრეტი. საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშაზე ოქროსფრად ელვარებს ორი ლენინის ორდენი. ამ მაღალი ჯილდოებით დაჯილდოვდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომა.

საზეიმო კრების მონაწილენი მღელვარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს ლ. ი. ბრეჟნევს, რომელიც მას პრეზიდიუმში შეძღვა. პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტურენკო, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჟანჟღავაძე, გ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის გმირები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნების დიდებული მელოდიები.

საზეიმო კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ო. ლაშქარაშვილის წინადადება, რომ საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს.

სიტყვით გამოდის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი.

სიტყვა ეძლევა თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორს, სოციალისტური შრომის გმირს გ. ბოჭორიშვილს. ტიონეთის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ა. წითლიძე, ქართველ მეცნიერთა სახელით სიტყვა წარმოთქვა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ხარაძემ. აღფრთოვანებული სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე. საქართველოს ახალგაზრდობის, მისი მოწინავე რაზმის — კომკავშირის სახელით სიტყვა წარმოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა თინა კაკუშაძემ.

ხანგრძლივი ტაშის გრიალში კრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ი. ლოლაშვილმა.

ჩეკისტთა კლუბში

4 ნოემბერს საზეიმო იყო [illegible] თბილისის ძერჟინსკის სახელობის კლუბი. აქ შეიკრიბნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოების მუშაკები, რათა [illegible] მშრომელებთან ერთად შეხვედროდნენ 7 ნოემბრის დღესასწაულს.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავს, მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. **ბ. ი. ფიფინაშვილი**.

სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი.

გვილოცავენ

მოსკოვიდან

ჟურნალ „სოვეტსკაია მილიცია“-ს სარედაქციო კოლეგია თავის მრავალრიცხოვან მკითხველებთან და შტატგარეშე აქტივთან ერთად საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებს მიესალმება და ულოცავს ოქტომბრის დღესასწაულს და მილიციის დღეს. ოქვენი რესპუბლიკის ... — ლენინის გადაცემა ... საქართველოს ... წარმატებებს.

გისურვებთ მუშაობაში ახალ შემოქმედებით წარმატებებს!

დაე, ხელ უფრო მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა საქართველოს სსრ და რუსეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაკებს შორის.

ი. კორიაკინი,
ჟურნალ „სოვეტსკაია მილიცია“-ს მთავარი რედაქტორი.

ლენინგრადიდან

ძვირფასო მეგობრებო! გაზეთის თანამშრომლებისა და ლენინგრადის მილიციის მთელი პირადი შემადგენლობის სახელით გილოცავთ საბჭოთა საქართველოსათვის მეორე ლენინის ორდენის გადაცემას და მილიციის დღეს. მაღალი ჯილდო ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ქართველი ხალხი ეწევა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის. გისურვებთ ახალ წარმატებებს!

შ. ტიტოვი,
გაზეთ „ლენინგრადსკაია მილიცია“-ს რედაქტორი.

ტაშკენტიდან

ქართველი ხალხის ამ სადღესასწაულო დღეებში საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მთელ შემადგენლობას მხურვალედ ვულოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავს და მილიციის დღეს. გისურვებთ ოქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს მუშაობასა და პირად ცხოვრებაში!

ს. სალავაი,
უზბეკეთის სსრ სწდ სამინისტროს გაზეთის რედაქტორი.

ბაქოდან

აზერბაიჯანის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს გაზეთის „ნა ბოევომ პოსტუ“-ს თანამშრომლები საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოების პირად შემადგენლობას გულითადად გილოცავთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულს და მილიციის დღეს.

გისურვებთ, მეგობრებო, ახალ შრომით გამარჯვებებს!
გაზეთ „ნა ბოევომ პოსტუ“-ს სარედაქციო კოლეგია.

რიგიდან

ლატვიის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოს გაზეთ „ნა ბოევომ პოსტუ“-ს რედაქციის თანამშრომლები ... დიდ ოქტომბრის დღესასწაულს და მილიციის დღეს ... ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხი.

დაე, კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყოს წარმატებები საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ!

მ. აბრამოვიჩი,
გაზეთ „ნა ბოევომ პოსტუ“-ს რედაქტორი.

აშხაბადიდან

ძვირფასო მეგობრებო! თურქმენეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოს — გაზეთ „ნა სტრაჟე ობშჩესტვენნოგო პორიადკა“-ს რედაქცია ქართველ ხალხს ულოცავს ოქტომბრის დღესასწაულს და მილიციის დღეს. დაე, უფრო მტკიცდებოდეს მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენ ხალხებს შორის!

ა. ვეთვა,
გაზეთ „ნა სტრაჟე ობშჩესტვენნოგო პორიადკა“-ს რედაქტორი.

ერევნიდან

გაზეთ „მარტაკან პოსტუმ“-ის რედაქცია და სომხეთის სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო მხურვალედ ულოცავს ქართველ კოლეგებს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს და მილიციის დღეს. გაუმარჯოს ქართველ ხალხს ჩვენი საუკეთესო სურვილები.

გაზეთ „მარტაკან პოსტუმ“-ის სარედაქციო კოლეგია.

მილიციის მოწინავე მუშაკთა გალერეა

შრომით მოპოვებული

რეპორტაჟი

მილიციის წარჩინებულნი

სარედაქციო ფოსტიდან

ბარაქალა, მათ ადამიანობას!

ძვირფასო რედაქციავ!

ახლა, როცა კარგად ვგრძნობ თავს, არ შემიძლია არ მოგწეროთ ორიოდე სიტყვით ჩემს კეთილისმყოფელ ადამიანებზე.

ამ ცოტა ხნის წინათ თითქმის გრძნობადაკარგული მიმიყვანეს სამკურნალოდ საქართველოს სსრ სწდ სამინისტროს სამედიცინო განყოფილებაში. სასწრაფოდ დამაწვინეს საავადმყოფოში. მედპერსონალმა უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ჩემი დაავადებისადმი და ყველა ზომა მიიღო სწრაფი დიაგნოზის დასადგენად.

ერთი თვე შეუწყვეტელი მზრუნველობით მკურნალობდნენ საავადმყოფოში. საავადმყოფოს მთელი მედპერსონალის და სამედიცინო განყოფილების უფროსის მიმართ დიდ მადლობას გამოვთქვამ, მაგრამ ცალკე მინდა შევჩერდე ჩემს მკურნალ ექიმ ზურაბ გურგენიძეზე.

ის გულისხმიერი და კაცთმოყვარე ადამიანია. დამჯებს დაუღალავად აოვეს თვალმყურის ხასიათ...

მადლობა მინდა გამოვთქვა მისი მისამართით თქვენი გაზეთის ფურცლებზე.

ა. კოგაბიძე,
ხონის რაიონი, სოფ. ხიდელა.

▲

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულსა და მილიციის დღეს თვალსაჩინო მიღწევებით ეგებებიან ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის მილიციის განყოფილების მუშაკები.

* * *

სურათზე: თქვენ ხედავთ მილიციის ოფიცერთა ერთ ჯგუფს: თ. წიკლაურს, ლ. ელბაქიძეს, ი. ოსიაშვილს, ი. ხუბულაშვილსა და ა. დოლუაშვილს.

ფოტო ა. გოგოლაძისა.

▲

ლენინის დეკრეტი მილიციაზე

კომკავშირელთა დღესასწაული

ვიმაელი ბევრს გვაკელებს

ვ. ვაჩნაძე,
მილიციის გორის რაიგანყოფილების უფროსი.

ოპერატიული ცნობები · ახალი ამბები · ქრონიკა

საპატიო სიგელით

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით ... მოსწავლეთა ... აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი მამა მასხარაშ-ძე ...

რაზმელებმა დააკავეს

მახარაძის რაიონის სოფელ ... თის მცხოვრებმა ... დაკრებთ, ... სახლებით ... „საზოგადოებრივი ...“

სამ საათში

მილიციის გორის რაიგანყოფილებაში სახლში მოსულა ... ბავშვი ... გამოცხადდა და ძლივს განაცხადა: ... მორიგეობისას ... დამტერებს და ... მრავალ გაჟლენტეს.

გ. ხარაიშვილი,
მილიციის მახარაძის რაიგანყოფილების მორიგე ინსპექტორი.

ვ. ბიბიძერი,
მილიციის გორის რაიგანყოფილების მორიგეს მოადგილე.

ჩვენი გამოსვლის შემდეგ

„უსაფრთხო მოძრაობისათვის“

აფხაზეთის მილიციის ახალი ამბები

კოლეგიის დადგენილებიდან გამოაქვთ დასკვნები

ორჯამჭირელი უსაქმურები

მილიციის მოწინავე მუშაკთა გალერეა

როცა ოპერატიულად მოქმედებენ

დანაშაული და სასჯელი

დაე, მუდამ თან გახლდეთ გამარჯვება

ეს ერთი და სხვა მრავალი, ამხანაგებო!

აჭარის მილიციის ახალი ამბები

როცა ძაღლი შემოქმედებაა...

ცეცხლზე კლიენი

მოუსვენარი პროფესიის ადამიანები

მოუწმობს ექსპერტიზა

ახალი ზღვებისაკენ

ადამიანები და მათი საქმეები

სამხრეთ ოსეთის მილიციის ახალი ამბები

მადლობა მოიხმი

მაქინაციების ნასკვი იხსნება

არავითარი დანდობა ხულიგნებს

ბედნიერების დაბრუნება

ქუთაისის მილიციის ახალი ამბები

მამა აპოვნინა

ქ. ქართველიშვილი.

მისამართი შეუცვლია

ახალი ამბები

ოპერრწმუნებულმა დააკავა

ვ. უსენკო.

„ფარდული" დაიხურა

ჩამქრალი ვარსკვლავების შუქი

მილიციის გმირ მუშაკთა სახელებს ატარებენ ქუჩები თბილისში, სოხუმში, გუდაუთაში, რუსთაველში ...

ველით თქვენს წერილებს, ძვირფასო მეგობრებო!

გმირის წითელი ვარსკვლავი

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა

ე. ჩილაჩავა.

გუდაუთა, მილიციის ლეიტენანტის სახელობის ქუჩა

მილიცია ამაყობს ამ გმირით

სისხამ დილით მოპატიჟე

შ. ელიოზიშვილი.

საგუშაგოზე დაცემული

ახალი წიგნები სსრ კავშირსა და საზღვარგარეთ

ჰორიზონტი

იუმორი

რედაქტორი
ვ. ალფენიძე.

ჩვენი მისამართი:

თბილისი, ვაკელ 11 მოედანი, № 1

ტელეფონები: რედაქტორის — 41-82, მოადგილის — 48-58, პ/მდივნის — 48-34 ლიტერატურული მუშაკების — 48-34.

უე 12632